საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის №059/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ს.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ს.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 07 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის 5 თებერვალს ნოტარიუსმა ლალი ბაგრატიონმა დაამოწმა (N….) მინდობილობა, რის საფუძველზეც ადვოკატ გ. ს.-ს მიენიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება თ. ბ.-ის სახელზე.

1.3 მომჩივანის განმარტებით, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების თანახმად, ადვოკატს მომჩივანის სახელით საასამართლოში უნდა შეეტანა სარჩელი სატრანსპორტო კომპანიის წინააღმდეგ, რადგან იგი 2012 წელს უკანონოდ გაათავისუფლეს სატრანსპორტო კომპანიიდან, სადაც დასაქმებული იყო დამლაგებლის პოზიციაზე.

1.4 მომჩივანი აღნიშნავს, რომ ადვოკატი 3 წლის განმავლობაში ატყუებდა, მას კლიენტის ინტერესების დასაცავად არ განუხორციელებია არცერთი საპროცესო მოქმედება და არ მიუმართავს სასამართლოსთვის, რაც დასტურდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილისა №X4 და 2018 წლის 18 აპრილის №X1 ცნობებით, რომლის თანახმადაც 2013 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 17 აპრილის ჩათვლით, სამოქალაქო საქმე, სადაც მოსარჩელე არის თ. ბ., მოპასუხე – სატრანსპორტო კომპანია, სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებული არ არის.

1.5 მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა 2018 წლის 22 აპრილს დაუბრუნა საქმის მასალები. მისი თქმით, ადვოკატის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის გამო, მომჩივანის საჩივარი ჩაითვალა ხანდაზმულად, რის შედეგადაც არსებითი ზიანი მიადგა.

1.6 2018 წლის 21 ივნისს მომჩივანი თ. ბ. გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და დამატებით განაცხადა, რომ ადვოკატმა გ. ს.-მა საქმის მასალების გასაცნობად სთხოვა გარკვეული დროის მიცემა. 2015 წელს ადვოკატმა მომჩივანს მიაკითხა სახლში და უთხრა, რომ საქმის წარმოების დაწყებისთვის აუცილებელი იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმება. მომჩივანის თქმით, მინდობილობის გაფორმებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდგომ, ადვოკატმა მიაკითხა სახლში და აცნობა, რომ სატრანსპორტო კომპანიაში უკვე შეტანილი ჰქონდა საჩივარი და პასუხს ელოდებოდა.

1.7 მომჩივანის განცხადებით, რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ ადვოკატი დაუკავშირდა და უთხრა, რომ სასამართლოში საქმის წარმოება უკვე დაწყებული იყო და სთხოვა, დეტალურად ჩამოეყალიბებინა მოთხოვნები, რომელიც სატრანსპორტო კომპანიის მიმართ გააჩნდა.

1.8 მომჩივანის განმარტებით, მას სურდა კომპენსაციის მიღება, რის გამოც დეტალურად დაიანგარიშა მისი წლიური შემოსავალი სავარაუდო პრემიების ჩათვლით. აღნიშნულმა თანხამ შეადგინა 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული ანგარიში წარუდგინა ადვოკატს, რომელმაც განუცხადა, რომ სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი იქნებოდა 1 500 (ათას ხუთასი) ლარი, ხოლო საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებას არ მიიღებდა მათ შორის არსებული ახლო ურთიერთობის გამო.

1.9 მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან ადვოკატს გადასცა 1 500 (ათას ხუთასი) ლარი და ჰკითხა, როდის შეიტანდა სარჩელს სასამართლოში, რაზეც გ. ს.-მა უპასუხა, რომ თავად დაუკავშირდებოდა.

1.10 მომჩივანის განმარტებით, თანხის გადაცემის შემდეგ გარკვეული პერიოდი ადვოკატთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა, რის გამოც სადავო საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიარა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც აცნობეს, რომ მისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 3 წელს შეადგენდა. ამის შემდეგ ის ადვოკატს შემთხვევით შეხვდა, რა დროსაც ადვოკატმა აცნობა, რომ მისი საქმე წარმოებაში იყო მიღებული და პრობლემები არ შეექმნებოდა.

1.11 მომჩივანის განმარტებით, როდესაც იგი ადვოკატის საცხოვრებელ სახლში მიდიოდა, ადვოკატი სახლში არასოდეს იყო და მისმა ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ არც გ. ს.-ის ადგილსამყოფელი და არც ის, თუ როდის დაბრუნდებოდა სახლში. აღნიშნულის გამო, გ. ს.-ის მეუღლეს განუცხადა, რომ ადვოკატს დაებრუნებინა გადაცემული საქმის მასალები. საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. ს.-ის მეუღლესთან საუბრის შემდეგ, ადვოკატი შეხვდა მის შვილს და უთხრა, რომ სასამართლო პროცესი ჩანიშნული იყო 5 აპრილს და აღნიშნულის თაობაზე თავად დაუკავშირდებოდა თ. ბ.-ს.

1.12 მომჩივანის განმარტებით, არც 05 აპრილს და არც მის შემდეგ ადვოკატი არ დაკავშირებია, რის გამოც მივიდა მის სახლში, ადვოკატმა კი განუცხადა, რომ სასამართლო პროცესი მოსამართლის ავადმყოფობის გამო 22 აპრილს ჩაინიშნა.

1.13 მომჩივანის განცხადებით, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ადვოკატი დაუკავშირდა მის შვილს და დაუბრუნა საქმის მასალები. შ. ბ.-ის კითხვაზე, რა ხდებოდა საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით, უპასუხა, რომ ბოდიშს იხდიდა 2 წლის განმავლობაში საქმის მასალების დაყოვნებისთვის, რადგანაც მათი მიღებიდან 01 თვის ვადაში შეიტყო, რომ დავა ხანდაზმული იყო და სარჩელის შეტანას აზრი არ ჰქონდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 23 მაისს ადვოკატმა გ. ს.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც იგი აცხადებს, რომ მას მომჩივან თ. ბ.-სთან არ გაუფორმებია ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2013 წელს იგი შეხვდა თ. ბ.-ს, რომელმაც აუხსნა, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან და სურდა სარჩელის შეეტანა სასამართლოში. აღნიშნულის შემდეგ, მომჩივანმა გააფორმა რწმუნებულება ადვოკატის სახელზე და გადასცა საქმის მასალები, რომელთა გაცნობის შემდეგ, ადვოკატის თქმით, უარი უთხრა წარმომადგენლობაზე, რადგანაც უკვე გასული იყო განთავისუფლების ბრძანების გასაჩივრების ვადა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მომჩივანის პოზიცია, რომ მან ადვოკატს გადასცა 1 500 (ათას ხუთასი) ლარი, სიმართლეს არ შეესაბამება, რასაც მოწმეები ვ. მ. და გ. ს. დაადასტურებენ. ადვოკატის თქმით, აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით მომჩივანის შვილმა, შ. ბ.-მა, მოითხოვა მომსახურების ანაზღაურების სახით თ. ბ.-ის მიერ ადვოკატისთვის გადახდილი 4 000 (ოთხი ათასი) ლარის დაბრუნება, თუმცა მომჩივანთან საუბრის შემდეგ აღნიშნა, რომ თ. ბ.-ს

ნოტარიუსის მომსახურების საფასურის სახით 12 ლარის გარდა ადვოკატისთვის არანაირი თანხა არ ჰქონდა გადახდილი და პრეტენზია არ გააჩნდა.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან შ. ბ.-ს, თ. ბ-ის შვილს, ასესხა 1 000 (ათასი) ლარი და ის ამ თანხას არ უბრუნებს. მისი თქმით, მომჩივანის მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის მოტივს აღნიშნული თანხის დაბრუნების თავიდან აცილება წარმოადგენს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან მას მომჩივან თ. ბ.-სთან არ გაუფორმებია ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ, არ აუღია არანაირი ვალდებულება მომჩივანის წინაშე, მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი გ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №.../ სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 თ. ბ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2018 წლის 07 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2015 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ს.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის,,ა" ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მოატყუა, რომ მის საქმეზე მიმართა სასამართლოს, რეალურად ადვოკატს სასამართლოსთვის არ მიუმართია და გააშვებინა ხანდაზმულობის ვადა. ასევე, ის ვერ უკავშირდებოდა ადვოკატს და ადვოკატი არ უბრუნებს მისთვის გადაცემულ თანხას, 1500 ლარს.

5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე".

5.3 კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვლება, როდესაც ორივე მხარე გამოხატავს ნამდვილ ნებას და შეთანხმდებიან საადვოკატო მომსახურების პირობებზე.

5.4 თ. ბ.-ის პოზიციით, მან ადვოკატ გ. ს.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა 2013 წელს, ადვოკატს გადასცა თანხა 1500 ლარი და საქმის მასალები. ადვოკატმა განუმარტა, რომ დაუკავშირდებოდა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ. 2015 წელს საჩივრის ავტორმა ადვოკატის სახელზე გააფორმა მინდობილობა. ამ პერიოდის განმავლობაში ადვოკატს მის საქმეზე არაფერი გაუკეთებია, ატყუებდა, რომ მიმართა სასამართლოს და საქმის მასალები დაუბრუნა 2018 წელს. ადვოკატი კი განმარტავს, რომ მას თ. ბ-ის საქმე წარმოებაში არ აუღია, რადგან საქმეზე გასული იყო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.6 კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება თ. ბ-ის მიერ ადვოკატისათვის საბუთების გადაცემისა და საადვოკატო მომსახურების თანხის მიცემის ფაქტი. საქმეში წარმოდგენილია მინდობილობა N....., რომლითაც თ. ბ.-მა ადვოკატ გ. ს.-ს მიანიჭა მისი საქმის წარმოების უფლებამოსილება. კოლეგია განმარტავს, რომ მინდობილობის ადვოკატისათვის მიცემა შესაძლებელია ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე და მხოლოდ მინდობილობის მიცემა არ ნიშნავს იმას, რომ ადვოკატმა გ. ს.-მა აიღო თ. ბ.-ის საქმის წარმოების ვალდებულება.

5.7 კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე თ. ბ.-მა ვერ შეძლო დაედასტურებინა, რომ მასსა და ადვოკატ გ. ს.-ს შორის წარმოიშვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. შესაბამისად, რადგან ადვოკატ გ. ს.-ს არ განუხორციელებია თ. ბ.-ის წარმომადგენლობა, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს, მისი როგორც ადვოკატის მოქმედებები.

5.8 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“.

5.9 კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა არ დადასტურდა, ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეძლებს შეაფასოს თ. ბ.-ის პრეტენზიები ადვოკატ გ. ს.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ სააქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე-16-მე-17 მუხლებით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №059/18 ადვოკატ გ. ს.-ის მიმართ /სიითი №.../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/